თეო ჯალაღანია, ჯიმშერ ჯობავა,
ქრისტინე ჯობავა

ხელოვნება

მოსწავლის წიგნი

V

I ნაწილი

სახვითი და გამოყენებითი

ხელოვნება

მოსწავლის წიგნი

IV კლასი

I ნაწილი

ავტორები
თეო ჯალაღანია,ჯიმშერ ჯობავა,
ქრისტინე ჯობავა

საქართველოს მაცნე

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
მეოთხე კლასის მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი

ავტორები
თეო ჯალაღანია,ჯიმშერ ჯობავა,
ქრისტინე ჯობავა

მხატვრობა და დიზაინი
ქრისტინე ჯობავა

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
ტელ: 232 09 78, 591 34 73 77
ელ-ფოსტა: sakmacne@gmail.com
მაღალაშვილის ქ. 5, 0178, თბილისი.

© თ. ჯალაღანია, ჯ.ჯობავა
© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

გამოცემის წელი 2018 წელი

ISBN 978-9941-16-676-1

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I.

1. ერთი ფერის პოეზია 6
2. ქალაქის ხედი ღამით 8
3. ვძერწავთ სკულპტურულ რელიეფს 10
4. ბუნების გუნებ-განწყობა 12
5. მობილი ბუნებრივი მოვლენების თემაზე 14
6. შორეული პლანეტები 17
7. პლასტილინის ზოოპარკი (გაკვეთილი I) 19
8. პლასტილინის ზოოპარკი (გაკვეთილი II) 22
9. მხიარული სამყარო — ცირკი 24
10. ჩრდილების თეატრი. 26
11. კაიროს მუზეუმი 28
12. საათის ისტორია 30
13. შემაჯამებელი გაკვეთილი. 32

თავი II.

14. მოგზაურობა ცაში, ზღვასა და დედამიწაზე. 35
15. შორეული ქვეყნები 37
16. მოგზაურობა „კონ-ტიკით“. 39
17. აღდგომის კუნძულის ქანდაკებები 41
18. აფრიკული სახლები. 44
19. რა არის ქალაქთმშენებლობა. 46
20. ქალაქები და პროფესიები. 49
21 ზამთრის პეიზაჟი შუქ-ჩრდილით 51
22. ვხატავთ შორეულ სივრცეს 54
23. საახალწლო მისალოცი ბარათი 56
24. საშობაო სათამაშო. 57
25. საშობაო ანგელოზები 59
26. შემაჯამებელი გაკვეთილი 60

ლექსიკონი 63

თავი I

1. ერთი ფერის პოეზია



დამთავრდა არდადეგები. შენ და შენს მეგობრებს, ალბათ, საინტერესო შთაბეჭდილებები და მოგონებები დაგიგროვდათ იმ ადგილების შესახებ, სადაც ზაფხული გაატარეთ. მოუყევით კლასელებს მათ შესახებ და დახატეთ სურათი გუაშის საღებავებით: მთიანი პეიზაჟი ლურჯი საღებავის ელფერებით. დაიმახსოვრე, რომ ერთი ფერით შესრულებულ ნაწარმოებს „მონოქრომული“ ეწოდება.

სანამ მუშაობას შეუდგებოდეთ, გაიხსენეთ ზოგი რამ განვლილი მასალიდან.

გახსოვს ეს ნამუშევარი? წინა კლასებში შენ მიაქციე ყურადღება, რომ პეიზაჟზე წინ მდებარე საგნები უფრო დიდად უნდა დახატო, ვიდრე შორს განლაგებული საგნები.

ნამუშევრის შესრულებისას უნდა გაითვალისწინო, რომ შორეული საგნები — მთები, ფერდობები და სხვ. — სულ უფრო უფრო ბაცი და ცისფერი გვეჩვენება. ამ მოვლენას მხატვრები „ჰაეროვან პერსპექტივას“ უწოდებენ.

დაიმახსოვრე!
ჰაეროვანი, ანუ ფერადოვანი პერსპექტივა — შორეული სივრცის გადმოცემა ფერის მეშვეობი, როდესაც ახლოს მდებარე საგნები უფრო მკვეთრად და ფერადოვნად მოჩანს, ვიდრე შორეული.
„მონოქრომული“ — ერთი ფერით შესრულებული.

გადმოეცი შორეული სივრცე ლურჯი ფერით

შენ დაგჭირდება სახატავი ქაღალდი, ფანქარი და საშლელი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი და პალიტრა ან თეთრი ფურცელი ფერების შესაზავებლად.
დახატე გრაფიტის ფანქრით მთიანი პეიზაჟი. პირველ პლანზე გამოსახე დიდი ხე.
წინა პლანის მთები დახატე მუქი ლურჯი ფერით, და უფრო შორეულები — სულ უფრო ღია ცისფრად. ამისთვის ლურჯ საღებავს სულ უფრო მეტი თეთრი დაუმატე.
როდესაცდაასრულებთ ნამუშევრებს, გამოფინეთ ისინი კლასში და ისაუბრეთ იმაზე, იგრძნობა თუ არა თქვენს ნახატებში სივრცე და როგორ მიაღწიეთ ამას.



2. ქალაქის ხედი ღამით

ხელოვნებაში — ფერწერაში, ფოტოგრაფიაში, კინოში და სხვ., დიდი მნიშვნელობა აქვს განათებას. იმის მიხედვით, თუ როგორ არის განათებული საგანი ან გარემო, ჩვენ სხვადასხვანაირად ვხედავთ ფორმას, ფერს, ფაქტურას, სივრცეს.

ბევრი ცნობილი მხატვარი ძლიერ იყო დაინტერესებული იმით, თუ როგორ გამოიყურება გარემო ღამით, მთვარის ან ლამპიონების შუქზე. ისინი ხატავდნენ როგორც სოფლის, ასევე ქალაქის, ანუ ურბანულ პეიზაჟებს ღამით.

დააკვირდი ამ ნაწარმოებებს და აღწერე ისინი. რა არის მათზე გამოსახული? რა მსგავსებასა და რა განსხვავებას ხედავ მათ შორის? როგორი განათებაა სურათებზე? როგორი ფერები გამოიყენეს მხატვრებმა?

კამილ პისარო. „მონმარტრის ბულვარი ღამით“

ჰიროშიგე. „ქუჩა ღამით“

ე.ლენე ახვლედიანი. „ზამთარი მთაში“

ელ გრეკო. „ტოლედოს ხედი“

გააკეთე დიორამა ღამის ქალაქის გამოსახულებით

ამისთვის დაგჭირდება მუყაოს კოლოფი ან მისი სამი მხარე, შავი ან მუქი ლურჯი ქაღალდი, ფანქარი, მაკრატელი, წებო, გუაშის საღებავები, ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი.

შეღებე მუყაო ლურჯი საღებავით.

გამოჭერი მუქი ქაღალდისაგან სახლების სილუეტი და დაახატე ანთებული ფანჯრები.

დახატე ვარსკვლავები და მთვარე.

შეგიძლია გამოჭრა და დაწებო დეტალები: ხეები, მანქანები და სხვ.

მუშაობის დასრულების მერე დაათვალიერეთ ერთმანეთის ნამუშევრები და ისაუბრეთ მათ შესახებ. აღნიშნეთ, როგორ იცვლება ქალაქი ღამით, როგორ გამოიყურება ცა, სახლები და ფანჯრები.



დაიმახსოვრე!

ურბანული პეიზაჟი — ქალაქის ხედის ამსახველი სურათი.

3. ვძერწავთ სკულპტურულ რელიეფს



შენ უკვე გიმუშავია პლასტილინითა და თიხით და იცი, რომ ამ მასალისაგან შეიძლება პატარა ქანდაკებების გამოძერწვა. პროფესიონალი მოქანდაკეები კი დიდ ნაწარმოებებს ქვისგან კვეთენ ან ბრინჯაოსაგან ჩამოასხამენ ხოლმე. ასეთი ქანდაკებები მოედნებს ან პარკებს ამკობენ — მათ მრგვალი ქანდაკებები, ანუ სკულპტურები ეწოდება, რადგანაც მათ ყველა მხრიდან შეიძლება შემოუარო.

მაგრამ შენ პლასტილინით ბრტყელი ნამუშევრებიც შეგისრულებია, რომლებიც რაიმე ზედაპირზე იქმნება. ასეთ ნაწარმოებს სკულპტურული რელიეფი ეწოდება. მოქანდაკეები მას კედლებზე, ან რაიმე სხვა ბრტყელ ზედაპირებზე ასრულებენ.



გინახავს სკულპტურული რელიეფები? სად იყო ისინი განლაგებული? რა იყო მათზე გამოსახული?

გამოძერწე სკულპტურული რელიეფი თავისუფალ თემაზე

დაათვალიერე მოსწავლეების მიერ შესრულებული რელიეფები. როგორც ხედავ, ისინი სრულიად სხვადასხვა ჟანრს მიეკუთვნება: არის პორტრეტი, ნატურმორტი, პეიზაჟი და სხვ. შენ რის გამოსახვას ისურვებდი?

მოიფიქრე ნებისმიერი საინტერესო თემა, მაგ., დღესასწაული, მეგობრის პორტრეტი, მოგზაურობა, ფანტასტიკური სამყარო, შენი ქუჩა, ტყეში გასეირნება და სხვ. და შეასრულე სკულპტურული რელიეფი.



დაიმახსოვრე!
მრგვალი ქანდაკება — სამგანზომილებიანი ქანდაკება, რომელსაც სამივე მხრიდან სივრცე აკრავს.
სკულპტურული რელიეფი — ორგანზომილებიანი ქანდაკება, რომელიც რაიმე სიბრტყეზეა შესრულებული.

4. ბუნების გუნება-განწყობა

დაკვირვებიხარ, როგორ იცვლება გარემოს ხასიათი სხვადასხვა ამინდის დროს? მაგალითად, როგორ გამოიყურება ერთი და იგივე პეიზაჟი მზიან, წვიმიან ან თოვლიან ამინდში? იგი ხან სევდიანად გამოიყურება, ხან — მხიარულად, ხან კი, მაგალითად, ჭექა-ქუხილის ან შტორმის დროს — მძვინვარედ და განრისხებულად. ზოგი ცნობილი მხატვარი, მაგალითად, კლოდ მონე, განგებ ბევრჯერ ხატავდა ერთსა და იმავე ადგილს, რომ ამინდის ცვალებადობისას ბუნების განსხვავებული გუნებ-განწყობა გადმოეცა.

შენც დაგიხატავს წინა წლებში მზიანი, ქარიანი და თოვლიანი პეიზაჟები. ახლა შემოდგომაა, შემოდგომაზე კი ხშირად წვიმს. დახატე წვიმიანი ამინდი, რაშიც ამ გაკვეთილში მოცემული მაგალითები დაგეხმარება. მაგრამ გახსოვდეს, რომ აუცილებელი არ არის მათი ზუსტად გამეორება, სურვილის შემთხვევაში შეგიძლია საკუთარი ვარიანტი გამოსახო. შეეცადე, ფერების და ნახატის მეშვეობით გადმოსცე ის გრძნობები, რომლებსაც შენში ბუნების გუნებ-განწყობა იწვევს.



5. მობილი ბუნებრივი მოვლენების თემაზე

ბუნებრივი მოვლენების გამოსახვა შესაძლებელია არა მარტო ნახატზე: შენ შეგიძლია შექმნა მობილი, ანუ მოძრავი ნაწარმოები, რომელიც ცისარტყელას, ღრუბლებს, წვიმას, თოვლს ან სხვა რომელიმე ბუნებრივ მოვლენას გამოსახავს.

მობილი ცალკეული დეტალებისაგან იქმნება, რომლებიც ერთმანეთზე ძაფებით მაგრდება, შემდეგ კი ოთახში უნდა ჩამოიკიდოს. ჰაერის ქროლვისაგან იგი მოძრაობს, ამიტომაც ეწოდება მას „მობილი“, ანუ „მოძრავი“.

მობილის აგებულება გულდასმით უნდა იყოს მოფიქრებული, რომ ნაწილების ზომა და ფორმა წონასწორობაში იყოს. ამაში გაკვეთილში მოყვანილი მაგალითები დაგეხმარებათ.

შექმენით მობილი ბუნებრივი მოვლენების თემაზე

ამისთვის დაგჭირდებათ მუყაო, ფანქარი და საშლელი, მაკრატელი, წებო, გუაშის საღებავები და ფუნჯი, წყლიანი ჭურჭელი. შეიძლება აგრეთვე ფერადი ქაღალდების გამოყენებაც.

დაიყავით ჯგუფებად. მოიფიქრეთ, როგორ მობილს გააკეთებთ და გააკეთეთ პატარა ჩანახატები. როდესაც გადაწყვეტთ, როგორი მობილის გაკეთება გსურთ, ჯგუფის თითოეული წევრი დახატავს მუყაოზე, გამოჭრის და გააფერადებს რომელიმე დეტალს (შეიძლება დეტალებზე ფერადი ქაღალდების დაწებებაც). შემდეგ ჯგუფის წევრები ააწყობენ მობილს და მასწავლებლის დახმარებით დაკიდებენ კლასში.

ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორი გამოვიდა თქვენი და მეგობრების მობილები, უხდება თუ არა ისინი კლასს, კიდევ რა თემაზე შეიძლება მობილების შექმნა მომავალში და ა.შ.

დაიმახსოვრე!
მობილი — სივრცობრივი კომპოზიცია, რომელიც მზა ან ხელნაკეთი ნივთებისაგან უნდა აიწყოს.

6. შორეული პლანეტები

შენ უკვე იცი, რომ სამყარო მხოლოდ დედამიწას არ მოიცავს: უსასრულო კოსმოსში უამრავი პლანეტები, ვარსკვლავები, კომეტები და სხვა ციური სხეულები მოძრაობენ. მათ შესასწავლად მეცნიერები რაკეტებსა და სხვა კოსმოსურ ხომალდებს გზავნიან ხოლმე. მათ უკვე ბევრი რამ აღმოაჩინეს და შეისწავლეს, მაგრამ კოსმოსში ჯერ კიდევ მრავალი ამოუცნობი საიდუმლო იმალება.

წარმოიდგინე, რომ შენ კოსმონავტი ხარ და შორეული პლანეტისკენ მიფრინავ. რას ხედავ ილუმინატორში? როგორ გამოიყურებიან პლანეტები, ვარსკვლავები და სხვა ციური სხეულები? დაათვალიერე პლანეტების გამოსახულებები ინტერნეტში და წიგნებში.

გააკეთე პლანეტების ამსახველი დიორამა.

ამისთვის საჭიროა მუყაოს კოლოფი, გუაშის საღებავები, ფუნჯი და წყლიანი ჭურჭელი, პლასტილინი, ძაფები, წვრილი ჩხირები და სკოჩი. დაიყავით წყვილებად. შეღებეთ მუყაოს კოლოფის შიგა კედლები მუქი ლურფი ან შავი საღებავით. დაახატეთ ან დააშხეფეთ ზედ თეთრი, ცისფერი ან ყვითელი ვარსკვლავები.

სანამ საღებავი გაშრება, გამოძერწეთ რბილი პლასტილინისაგან სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის პლანეტები და სხვა ციური სხეულები. შეეცადეთ, რომ ისინი ერთი ფერისა არ იყოს: ჯერ გადაზილეთ

ერთმანეთში რამდენიმე ფერის პლასტილინის ნაჭრები, რომ გამოძერწილ ბურთებს ფერის გადასვლები ეტყობოდეთ.
გაუყარეთ პლანეტებს ძაფები და დაამაგრეთ ისინი კოლოფში (სკოჩით ან წებოთი).
ზოგიერთ ციურ სხეულებს წვრილი ჩხირები — „სხივები“ — გაუყარეთ.
როდესაც თქვენი ნამუშევრები მზად იქნება, გამოფინეთ ისინი კლასში.
ისაუბრეთ კოსმოსზე, იმაზე, თუ რა იცით მის შესახებ, რა არ იცით, მაგრამ გაინტერესებთ, რა კითხვები გიჩნდებათ და ა.შ.



7. პლასტილინის ზოოპარკი (გაკვეთილი I)

შენ უკვე იცი, რომ ზოოპარკი არა მარტო გასართობი, არამედ მნიშვნელოვანი სამეცნიერო და ბუნებისდაცვითი დაწესებულებაც არის: აქ ცხოვრობს ბევრი ისეთი ცხოველი, რომლებიც ბუნებაში ძალიან ცოტა დარჩა და მათი ჯიშის გადარჩენა, გამრავლება და შემდეგ ისევ ბუნებაში დაბრუნება მხოლოდ ზოოპარკების საშუალებით, იქ მომუშავე მეცნიერების ძალისხმევით შეიძლება. ასეთია, მაგალითად, ცნობილი მწერლისა და ნატურალისტის, ჯერალდ დარელის ზოოპარკი ბრიტანეთში და ბევრი სხვა, სადაც ცხოველებს ბუნებრივთან მიახლოვებულ კარგ პირობებს უქმნიან. ის ცხოველები, რომლებსაც გადაშენება ემუქრებათ, საგანგებო „წითელ წიგნში“ არიან ჩაწერილები და მათზე ნადირობა მთელ მსოფლიოში აკრძალულია.

იცნობ ზოოპარკში მოქცევის წესებს? რისი გაკეთება შეიძლება ზოოპარკში და რისი — არა?

გააკეთეთ პლასტილინის ზოოპარკი.

პირველ გაკვეთილზე ვძერწავთ ზოოპარკის ბინადარ ცხოველებს.

პლასტილინი, სტეკი (პლასტმასის დანა), პატარა ჩხირები, დასაფენი ცელოფანი ან პლასტიკატის ნაჭერი.

დაიყავით ჯგუფებად. ჯგუფის ყველა წევრმა უნდა გამოძერწოს პლასტილინისაგან ერთი ან რამდენიმე ცხოველი. ამაში გაკვეთილში მოყვანილი მაგალითები დაგეხმარებათ. მაგრამ თუ სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ გამოძერწოთ სხვა ცხოველები, ისეთები, როგორებიც თქვენ მოგწონთ.




1
2
5



დაიმახსოვრე!
„წითელი წიგნი“ — წიგნი, სადაც შეტანილია გადაშენების პირას მყოფი ცხოველები და მცენარეები.

8. პლასტილინის ზოოპარკი (გაკვეთილი II)

ამჯერად ვაგრძელებთ ჩვენი „პლასტილინის ზოოპარკის“ მშენებლობას. წინა გაკვეთილზე თქვენ უკვე გამოძერწეთ მისი ბინადარი ცხოველები, ხოლო დღეს ვაკეთებთ მათ საცხოვრებელ გარემოს.

ვაშენებთ „პლასტილინის ზოოპარკს“

ამისთვის დაგჭირდებათ: მუყაოს დიდი ნაჭერი, მწვანე საღებავი, ფუნჯები, წყლიანი ჭურჭელი, პლასტილინი, სტეკი (პლასტმასის დანა), პატარა ჩხირები, წინა გაკვეთილზე გაკეთებული ცხოველები, ღრუბელი, წებო, მაკრატელი, სხვადასხვა ბუნებრივი მასალები და დეტალები — ტოტები, კენჭები, ქვიშა და სხვ.

მუყაოს დიდი ნაჭერი შეღებეთ მწვანედ და როცა ის გაშრება, მოათავსეთ ცხოველები პატარა ჩხირებისაგან გაკეთებულ „ვოლიერებში“. ჩხირების

ძირები მუყაოს ზედაპირზე პლასტილინის მეშვეობით დაამაგრეთ. ვოლიერებს შორის გააკეთეთ „ბილიკები“: წაუსვით წებო და დააყარეთ მას ქვიშა, ან დააწყვეთ პატარა კენჭები. შეგიძლიათ ზოოპარკის ტერიტორიაზე დააწებოთ ხავსის ნაჭრები, პატარა ტოტები ან ქაღალდზე დახატული და გამოჭრილი ხეები.

შეგიძლიათ აგრეთვე გამოძერწოთ ან ქაღალდისაგან გამოჭრათ დამთვალიერებლების ფიგურები.

გამოფინეთ კლასში თქვენი ნამუშევრები. მოექეცით მათ განსაკუთრებული სიფრთხილით, რომ ნაწილები ადგილიდან არ დაიძრას. ასევე მოერიდეთ სითბოსთან სიახლოვეს, რომ პლასტილინი არ დადნეს.

ისაუბრეთ იმის შესახებ, თუ რა იცით გამოსახულ ცხოველებზე, როგორი უნდა იყოს, თქვენი აზრით, იდეალური ზოოპარკი და რა შეუძლიათ კიდევ გააკეთონ ადამიანებმა, რომ ცხოველთა სამყაროს ხელი შეუწყონ.



9. მხიარული სამყარო — ცირკი



სად შეიძლება, რომ ქალაქელმა ბავშვმა, ზოოპარკის გარდა, ცხოველები ნახოს?

რა თქმა უნდა, ცირკში. ოღონდ, ზოოპარკის ბინადართაგან განსხვავებით, ცირკის ცხოველები ნიჭიერი მსახიობებიც არიან.

გაიხსენე, რა ცხოველები გინახავს ცირკში, რას აკეთებდნენ ისინი, რა ფილმები ან წარმოდგენები გინახავს ცირკის ცხოველებზე, ან რა მოთხრობები წაგიკითხავს მათ შესახებ?

ცირკში, ცხოველების გვერდიგვერდ, ადამიანი-მსახიობებიც მუშაობენ: ჯამბაზები, აკრობატები, ჟონგლიორები, ილუზიონისტები. ისინი ერთად ქმნიან იმ ხალისიან, მხიარულ დღესასწაულს, რომელსაც საცირკო წარმოდგენა ჰქვია.

შეასრულეთ საერთო გუნდური სამუშაო: დახატეთ საცირკო წარმოდგენა.

ამისთვის საჭირო იქნება ქაღალდის დიდი ფორმატი, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, ცალკეული სახატავი ფურცლები, მაკრატელი და წებო.

აირჩიეთ ქაღალდის დიდი ფორმატი და დახატეთ მასზე წრიული ფორმის არენა. შეაფერადეთ იგი ყვითლად ფერადი ფანქრებით ან პასტელებით.
მოილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ ვინ რას დახატავს და არენის რომელ ადგილას განათავსებთ ამა თუ იმ ფიგურას. და მიანიშნეთ მასზე ფანქრით.
შემდეგ მოსწავლეები ცალკე ფურცლებზე ხატავენ ცხოველებს, ჯამბაზებს, აკრობატებს, ჟონგლიორებს, ილუზიონისტებს და სხვ., ამოჭრიან მათ და დააწებებენ არენის მათთვის განკუთვნილ ადგილზე.
სამუშაოს დასრულების შემდეგ ესაუბრეთ მეგობრებს იმის შესახებ, თუ ვინ რა დახატა, რა არის ყველაზე საინტერესო, როგორ და რანაირად მიმდინარეობდა საერთო სამუშაო.



10. ჩრდილების თეატრი

გახსოვს თქვენი კლასის მიერ გაკეთებული თოჯინების თეატრი? ის ძალიან ჰგავდა ნამდვილს: დეკორაციები სასცენო კოლოფში იყო განთავსებული, იქვე მიდიოდა მოქმედება: ხელნაკეთი თოჯინები ზღაპარს წარმოადგენდნენ. მაგრამ ამჯერად ჩვენ სრულიად სხვანაირ თოჯინების თეატრს გავეცნობით: ჩრდილების თეატრს. იგი ძველ დროს ინდონეზიაში გამოიგონეს და იქ ეს ტრადიცია დღესაც ცოცხლობს.

ასეთ თეატრში მაყურებელი თვით თოჯინებს ვერ ხედავს: ისინი ქაღალდის ან ქსოვილის ეკრანის უკან თავსდებიან, ზურგის მხრიდან მათ ლამპა ანათებთ და ეკრანზე მაყურებელი მათი ჩრდილების მოძრაობას ხედავს. ტრადიციული თოჯინები ბრტყელი იყო, ისინი ტყავისა და ხისაგან მზადდებოდა და ჯოხებზე მაგრდებოდა. ხელებს მათზე ჯოხების მეშვეობით ამოძრავებდნენ.

დააკვირდი ამ თოჯინებს. როგორ გამოიყურებიან ისინი? როგორ გგონია, რატომ არიან ისინი ბრტყელები? აღწერე თოჯინების გარეგნობა.

შეასრულეთ გუნდური სამუშაო: გააკეთეთ თქვენი კლასის ჩრდილების თეატრი

ამისთვის დაგჭირდებათ ჩარჩო, ქაღალდი ეკრანისათვის, ლამპა, ფანქარი და საშლელი, სახაზავი, მაკრატელი, სკოჩი, ჭიკარტები, მუყაო, ჯოხები თოჯინების დასამაგრებლად.

აირჩიეთ, რომელი ზღაპრის ან მოთხრობის დადგმა გსურთ და შემდეგ შეუდექით მუშაობას.

სამუშაო სრულდება გუნდურად. გაინაწილეთ მოვალეობები: ზოგი გამოჭრის საჭირო ზომის ეკრანს და სკოჩით ან ჭიკარტებით დაამაგრებს მას ჩარჩოზე. ზოგი ხატავს მუყაოზე თოჯინების სილუეტებს, ზოგი გამოჭრის მათ, ზოგი ამაგრებს ჯოხებზე.

როდესაც სამუშაო მზად იქნება, ჩაატარეთ პატარა რეპეტიცია, რათა დარწმუნდეთ, რომ ყველაფერი სათანადოდ გამოგივიდათ. მოილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ როდის ჩაატარებთ თეატრალურ პრემიერას, სად დასვამთ მოწვეულ სტუმრებს, როგორ გააფორმებთ საკლასო ოთახს და ა.შ.

11. კაიროს მუზეუმი

შენ უკვე იცი ზოგი რამ ეგვიპტურ კულტურაზე, არქეოლოგებმა იმ ეპოქის მრავალი ძალზე საინტერესო ძეგლი აღმოაჩინეს. მათი დიდი ნაწილი ეგვიპტის დედაქალაქში, კაიროს მუზეუმში ინახება.

აქ შენ ნახავ ფარაონებისა და დედოფლების ქანდაკებებს, ოქროსა და ალებასტრისაგან დამზადებულ სარკოფაგებს, სადაც ოქროსნიღბიანი მუმიები ასვენია, ფრესკებს, სადაც შევარდნის და ლომისთავიანი ეგვიპტური ღმერთებია გამოსახული და შესანიშნავი ოსტატობით დამზადებულ სხვა ნივთებს.



დაათვალიერე და აღწერე კაიროს მუზეუმის ექსპონატები. რომელი მათგანი მოგწონს ყველაზე მეტად? რატომ?

ფარაონი ტუტანხამონი და დედოფალი

ფარაონ ტუტანხამონის ნიღაბი

ფარაონ ტუტანხამონის სტატუეტები

ქალღმერთი სერკეტი

გააკეთეთ დიორამა კაიროს მუზეუმის გამოსახულებით.
ამისთვის დაგჭირდებათ მუყაოს ყუთი, მაკრატელი, წებო, ფანქარი, გუაშის საღებავები, ფუნჯი, ფერადი ქაღალდები, პლასტილინი.

ყუთის კედლებზე დახატე ფრესკები და იეროგლიფები.

ცენტრში დადგი პლასტილინისაგან გამოძერწილი სარკოფაგი.

პატარა კოლოფებში ან პირდაპირ ძირს დააწყვე „ფარაონის განძი“ — ფერადი შუშები, მძივები და სხვ.

დააწყვე პლასტილინისაგან ან თიხისაგან გამოძერწილი პატარა ქანდაკებები.

როდესაც ნამუშევრები მზად იქნება, მოაწყვეთ საკლასო გამოფენა და ისაუბრეთ ეგვიპტურ კულტურაზე.

დაიმახსოვრე!
სარკოფაგი — ხის ან ქვის სამარხი.

12. საათის ისტორია

იცი, რომ მუზეუმებში ჩვეულებრივი ნივთებიც ინახება, ისეთები, რომლებსაც ყოველდღიურად ვხმარობთ? ზოგიერთ მათგანს ძველი და საინტერესო ისტორია აქვთ. აი, თუნდაც, უბრალო საათი, რომელიც ყველა ოჯახში არის. მისი შორეული წინაპარი მზის საათი იყო, სადაც დროს ისარი კი არ უთითებდა, არამედ ჩხირისაგან დაცემული ჩრდილი.

საათი, რომელსაც ეგვიპტელები და ძველი ბერძნები ხმარობდნენ, წყლისა იყო: კონუსური ჭურჭლიდან მოწვეთავდა წყალი, დანაყოფები კი დროს აღნიშნავდა. ასეთი საათი ღამითაც და უმზეო ამინდშიც გამოიყენება.



იყო აგრეთვე ქვიშის საათებიც, სადაც ქვიშა ზედა ჭურჭლიდან ქვედაში დროის გარკვეულ მონაკვეთში, მაგალითად, 1 საათში ცვიოდა, შემდეგ კი საათს საპირისპირო მხარეს ატრიალებდნენ.

ძველ ჩინეთში ცეცხლის საათი გამოიგონეს. ის დანაყოფებიან სანთელს ჰგვს, რომელიც დროს აღნიშნავს.

გაცილებით უგრო გვიანდელი გამოგონებაა მექანიკური საათები. ზოგი მათგანი უზარმაზარი იყო და ქალაქის ყველაზე მაღალ შენობებზე მონტაჟდებოდა, ზოგი — ძეწკვზე ჩამოკიდებული ბურთულის ფორმის ჯიბის საათი, ზოგიც,

მოოქროვილი და ქანდაკებებით შემკული, ბუხარზე დასადგმელად გამოიყენებოდა.

ახლა ასეთ საათებს აღარ ხმარობენ: გაცილებით უფრო მოსახერხებელია ელექტრონისა და კვარცის ზუსტი საათები. მაგრამ ძველ საათებს, რომლებიც ხშირად დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენდა, დღესაც ინტერესით ათვალიერებენ მუზეუმების სტუმრები.



შენც შეგიძლია გააკეთო დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში: ლამაზად მოხატული მზის საათი.

ამისთვის დაგჭირდება ერთჯერადი თეფში, რაიმე ჩხირი, მაგალითად, ფანქარი და ფერადი მარკერები.

დაყავი თეფში 12 ნაწილად და დააწერე ციფრები. შუაში გაუკეთე ნახვრეტი და დაამაგრე შიგ ჩხირი. დადე საათი მზეზე ისეთნაირად, რომ შუადღეზე ჩრდილი 12 საათზე ეცემოდეს. შემდეგ მოხატე საათი ლამაზი ორნამენტებით.

13. შემაჯამებელი გაკვეთილი

ამ თავში შენ გაეცანი შემდეგ საკითხებს:

1. შეიტყვე, თუ რას ნიშნავს ჰაეროვანი, ანუ ფერადოვანი პერსპექტივა.

2. გაეცანი მონოქრომული ნაწარმოების თავისებურებებს.

3. შეიტყვე, თუ რა არის მობილი.

4. გაეცანი ტერმინს „ურბანული პეიზაჟი“.

5. შეიტყვე, რა განსხვავებაა მრგვალ ქანდაკებასა და სკულპტურულ რელიეფს შორის.

5. განამტკიცე სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

შეამოწმე შენი ცოდნა

უპასუხე შეკითხვებს

1. რა არის „წითელი წიგნი“?
2. სად უნდა გამოიყენოს მხატვარმა უფრო ბაცი და ნაზი ფერები — წინა პლანზე თუ უკანა პლანზე?
3. რით განსხვავდება ჩრდილების თეატრი ჩვეულებრივი თოჯინების თეატრისაგან?
4. რომელი ქვეყნის ხელოვნების ნიმუშები ინახება კაიროს მუზეუმში?
5. რა ეწოდება ხელოვნების დარგს, რომელსაც ყოველდღიური მოხმარების საგნები — საათები, ლარნაკები და ა.შ. მიეკუთვნება?
6. რომელი მხატვრების ურბანული პეიზაჟები შეგიძლია დაასახელო?

ქალღმერთი ათენა. ძვ. წ. IV ს

ვერსალის არტემიდე, ძვ.წ.IVს

ამ ნაწარმოებთაგან რომელია:
ა) მრგვალი ქანდაკება, ბ) სკულპტურული რელიეფი?

მორის უტრილო. „პარიზის ქუჩა“

ალფრედ სისლეი. „ალვის ხეები“

ამ ნაწარმოებთაგან რომელია ურბანული პეიზაჟი?